

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი \_ კორნელი სალია

თანამდებობის დასახელება \_ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.  
ფრაქციის დასახელება \_ ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“.

კომისი(ებ)ის დასახელება-

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - პროპორციული  
საანგარიშო პერიოდი \_ 2023 წლის 01 ნოემბრიდან 2024 წლის 01 ნოემბრამდე.  
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) \_ რიგითი

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა \_ 19

საკრებულოს სხდომებზე დასწრება \_ 19

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - კომისიის სხდომებზე დასწრება \_

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა \_ 14

ფრაქციის სხდომებზე დასწრება \_ 14

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და აღნიშნულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

- შესყიდვების გეგმის შესაბამისად, 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ;

- საკრებულოს სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

- გეოგრაფიული ობიექტის სახელდება;

- გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 -2026 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიის თაობაზე;

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

- ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა \_50 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა -1500.

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები \_სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა, ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის უზრუნველყოფა, შიდა საუბნო გზების მოწესრიგება, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება, მუნიციპალიტეტის ქალაქებში სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება, ქ.ჯვარის, სოფელ ეწერის, ნაკიფუს, მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურა, და სხვა

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მოქალაქეებთან შეხვედრებზე გამოთქმული ყველა საკითხი განხილულ იქნა როგორც კომისიის ასევე ფრაქციის სხდომებზე და მერიასთან თანამშრომლობით პრობლემების ნაწილი დადებითად იქნა გადაწყვეტილი, სხვა არსებული თუ შემდგომში წამოჭრილი პრობლემები ასახვას ჰპოვებს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ვარ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ამასთან ერთად გენდერის საბჭოს თავმჯდომარე და საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა- საქართველოსთვის“ წევრი, მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში, ფრაქციის სხდომებზე ვაფიქსირებ ჩემს პოზიციებს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებთან და საკითხებთან დაკავშირებით. სხვადასხვა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით ფრაქციის სხდომებზე მიღებული რეკომენდაციები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერს. როგორც გენდერის საბჭოს თავმჯდომარე, გენდერის საბჭოს წევრებთან ერთად, გენდერულ ჭრილში, ვახორციელებ სხვადასხვა აქტივობებს, მონაწილეობას ვღებულობ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

შევსების თარიღი 30/10/2024 წ.

წარდგენის თარიღი 30/10/2024 წ.

ხელმოწერა

